საქართველოში სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა ტრანსფორმაციის ქმედითი მარეგულირებელი მექანიზმები

თორნიკე გოგაძე
სტუ დოქტორანტი
E-mail: tornike.gogadze@yahoo.com

საქართველოში დღეისათვის არსებული შრომისნაყოფიერების დონე არასაკმარისია, მაგრამ მისი ამაღლების რეზერვები ჯერ კიდევ არ არის ამოწურული, თუმცა მათი გამოყენება ფერხდება წარმოების დაბალი ტექნოლოგიური ბაზის, სამუშაო ძალის სუსტი მობილურობის, ადამიანური კაპიტალის განვითარებისათვის არასაკმარისი დაბანდების გამო.

ეკონომიკური უსაფრთოების ფაქტორებს შორის თავისი რეიტინგით პირველი ადგილი უკავია ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებელთა უკიდურესად დაბალ დონეს, რაც საბოლოო ჯამში გამოხატულებას პოულობს მთლიანად ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ჩამორჩენილ მდგომარეობაში ყოფნას.

მართლაც მნიშვნელოვანია ამ ფაქტის გავლენა ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლაზე. უფრო მეტიც, იგი წარმოადგენს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს, ყველა დონის განვითარების საფუძველს.

2003 წლიდან წლიდან ეკონომიკის ზრდის შედარებითი მაღალი ტემპის ზრდა დაფიქსირდა, მიუხედავად ამისა, მოსახლეობის დიდი ნაწილის მდგომარეობა არ შეცვლილა. შესაბამისად, საქართველოს მთავრობის მიზანი გრძელვადიანი ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისთვის საფუძვლის შექმნა და მოსახელობის კეთილდღეობის ამაღლებაა.

2004 წელს დაწყებული რეფორმების მეორე ტალღა მიმართული იყო ბაზრის ლიბერალიზაციისკენ, რაც სხვა საკითხებთან ერთად, გადასახადების, ნებართვებისა და ლიცენზიების რაოდენობის შემცირებით გამოიხატა.

წინა წლებში ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ინვესტიციები წარმოადგენდა, რომელთა დიდი ნაწილი მიმართული იყო ინფრასტრუქტურული პროექტებზე. ამასთან, სამუშაო ძალის წილი ეკონომიკის განვითარებაში

დიაგრამა 1.

მთლიანი ფიქსირებული კაპიტალის ფორმირება და უცხოური ინვესტიციები



წყარო: geostsat.ge

დიაგრამა 2.

წარმოების ფაქტორების წლიური ცვლილება (%)



წყარო: geostat.ge ფინანსთა სამინისტრო

უარყოფითი იყო და საშუალოდ 1.6%-იანი კლების ტენდენციით ხასიათდებოდა. ფაქტორების მთლიანი მწარმოებლურობის (ეკონომიკური ზრდის ნაწილი, რომელიც შრომის ან კაპიტალის ზრდას არ უკავშირდება საშუალო წლიური ზრდის ტემპი კი 2.8%-ს შეადგენდა.

წინა წლებში იყო მოლოდინი, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ხელს შეუწყობდა ახალი ცოდნის მიღებასა და ტექნოლოგიების დანერგვას, რაც ექსპორტის ზრდასა და დივერსიფიცირების და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის წინაპირობაა. თუმცა, ეს არ განხორციელდა იმ მასშტაბით, რომ ხელი შეეწყო გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისთვის. კერძოდ, ინვესტიციების დიდი ნაწილი მიმართული იყო კაპიტალტევად დარგებში, რომლებშიც მცირეა დასაქმების მოცულობა. ოფიციალური მონაცემებით უმუშევრობის დონემ ბოლო პერიოდში ყველაზე მაღალ მაჩვენებელს, 16.9 % 2009 წელს მიაღწია, თუმცა, მომდევნო წლების განმავლობაში ამ მაჩვენებელმა იკლო და 2015 წელს 12.0 %-ის ნიშნულზე დაფიქსირდა. რეალურად, სამუშაო ძალის დაახლოებით ორი მესამედი თვითდასაქმებულია. ყველაზე მეტი თვითდასაქმებული სოფლის მეურნეობაშია და მათი უმრავლესობა აწარმოებს პროდუქტს საკუთარი მოხმარებისთვის, რაც გასული ათწლეულის განმავლობაში სახელმწიფოს მიერ ამ დარგის იგნორირებამ განაპირობა. საბოლოოდ, ქვეყანაში უმუშევრებისა და თვითდასაქმებულების რაოდენობა შერომისუნარიანი მოსახლეობის დაახლოებით 70 პროცენტია.

ანალოგიურად, განხორციელებულმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ ვერ მოგვცა სასურველი შედეგი საექსპორტო კონკურენტუნარიანობის ზრდის თვალსაზრისით. უმნიშვნელო იყო ექსპორტის დივერსიფიცირება; იმპორტის მოცულობის ზრდამ მნიშვნელოვნად გაუსწრო ექსპორტის მოცულობის ზრდას, რამაც უარყოფითი საგარეო სავაჭრო სალდოს ზრდა გამოიწვია. ეს კი ქვეყნისის სერიუზულ მაკროეკონომიკურ რისკს წარმოადგენს

გარდა ამისა, ეკონომიკური ზრდით მიღებულმა შეგეგმა ვერ უზრუნველყო სიღარიბის დონის მნიშვნელოვანი შემცირება. ბოლო ათწლეულში სიღარიბის მაჩვენებლები თითქმის არ შეცვლილა. ამასთანავე, საქართველო, რეგიონში უთანასწორობის მაჩვენბლის მიხედვით, ერთ-ერთი პირველი ქვეყანაა.

ზემოთ მოყვანილი ფაქტების გათვალისწინებით, უახლესი წარსულის ეკონომიკური პოლიტიკის ანალიზი ორი ძირითადი დასკვნის გამოტანის საშუალებას გვაძლევს:

გასული ათწლეულის ეკონომიკური პოლიტიკა წარმატებული იყო ინვესტიციების მოზიდვისა და მოკლევადიანი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის თვალსაზრისით, თუმცა, მან ვერ შეძლო საფუძველი საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და გრძელვადიანი ინკლუზიური ეკონომიკურის ზრდისთვის;

დიაგრამა 3.

დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებლები



წყარო: geostsat.ge

ეკონომიკის ზრდის შედეგიები არ აისახა საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილზე და ვერც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდიანა უმუშევრობისა და სიღარიბის მაჩვენებლების შემცირებაზე.

მაკროეკონომიკური (ზოგადად ეკონომიკური) პოლიტიკა არის სახელმწიფოს მიერ ეკონომიკური მიზნების განხორციელების სტრატეგიული და ტაქტიკური გზების ერთობლიობა. სწორედ მაკროეკონომიკური პოლიტიკა განსაზღვრავს სახელმწიფოს ეკონომიკური ქცევის თავისებურებებს და მასზეა დამოკიდებული ქვეყნის განვითარების ძალიან მნიშვნელოვანი ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება.

ზოგადად მაკროეკონომიკა (მაკროეკონომიკური თეორია) სწავლობს პოლიტიკაში ეკონომიკურ ქცევებს, რომლებიც ზემოქმედებენ მოხმარებისა და ინვესტიციების მოცულობაზე. სავალუტო კურსსა და სავაჭრო ბალანსზე. აგრეთვე ფაქტორებს, რომლებსაც შეუძლიათ განსაზღვრონ ფასებისა და ხელფასების ცვლილება, მონეტარული და ფისკალური პოლიტიკა, ნაღდი ფულის მასის მოცულობა, სახელმწიფო ბიუჯეტი, პროცენტის განაკვეთის ცვლილება, სახელმწიფო ვალი.

ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება საკმაოდ რთული პროცესია. მისი პირველი ნაბიჯი

დიაგრამა 4.

საგარეო ვაჭრობა



საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2010–2015 წლების იანვარ–ივნისში მილიონ აშშ დოლარში. წყარო: საქსტატი

წყარო: geostsat.ge

ეკონომიკური მიზნების ზუსტი განსაზღვრაა. შემდგომ საჭიროა განისაზღვროს მიზნების განხორციელების ალტერნატიული პროგრამები და მათი შესაძლო შედეგები, აგრეთვე წარსულში ანალოგიური პროგრამების განხორციელების ეფექტიანობა, როგორც ერთ რომელიმე ქვეყანაში, ასევე სხვა ქვეყნებში, მიზეზ-შედეგობრივი კავშირით.

გერმანული ნეოლიბერალები კვლევის პრობლემის ცენტრად მოიაზრებენ ინსტიტუციონალურ მოწყობას. და ამიტომაც ისინი გამოდიან სახელმწიფოს აქტიური მონაწილეობის სასარგებლოდ ამ სფეროში. ამასთან კეინზიანელებისაგან განსხვავებით ისინი ჩარევის ობიექტად განიხილავენ კონკურენტული მექანიზმების ინსტიტუციონალურ საფუძველს.

ვ. ოიკენი კაცობრიობის ისტორიაში მთელ ეკონომიკურ სისტემას ორ „იდეალურ ტიპად" ჰყოფს: ცენტრალურ-მართვად და თავისუფალ (საბაზრო)" მეურნეობად. იგი მათგან პირველს მიაკუთვნებს მონათმფლობელურ, ფეოდალურ, ფაშისტურ და სოციალისტურ ეკონომიკას, რომლებიც საზოგადოების ყოველდღიური ეკონომიკური ცხოვრების გეგმის ერთი ცენტრიდან რეგულირებით ხასიათდება. მისი აზრით, ეკონომიკური ორგანიზაციის ერთადერთი რაციონალური ფორმა მეურნეობის მეორე ტიპი - „თავისუფალი (საბაზრო) მეურნეობაა", რომელიც ეკონომიკურ პროცესებს საბაზრო კონკურენციისა და თავისუფალი ფასწარმოქმნის მეშვეობით არეგულირებს. ამასთან ოიკენი უარყოფს ლიბერალების თეზის სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩაურევლობის შესახებ.

ოიკენი მიიჩნევდა, რომ ეკონომიკის განვითარების მთავარი პრობლემა არასრულყოფილი კონკურენციის და მეურნეობის მონოპოლიზაციაში არის, რომელიც განაპირობებს წარმოების პროცესების საბაზრო რეგულირების დარღვევას. ის მიიჩნევდა, რომ ამ ყველაფრის მთავარი მიზეზი არის პასიური და არამიზანმიმართული პოლიტიკა. ამიტამაც თვლის, რომ კაპიტალიზმი საზოგადოების განვითარების კარგი საშუალებაა. ამასთან მისი აზრით, ეკონომიკური პოლიტიკის მიზანი ქმედითი და ჰუმანური წყობილების შექმნაშია. იგი არ ეთანხმება მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ასეთი წყობილება სპონტანური განვითარებიდან შეიძლება წარმოიქმნას.

დიაგრამა 5.

სიღარიბის მაჩვენებელი



წყარო: geostat.ge

გერმანელი მეცნიერები ვ. ოიკენი და ლ. ერჰარდი თვლიდნენ, რომ, ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი არის სოციალური კომპრომისი. ასეთი მიდგომიდან გამომდინარე მიზანშეწონილია მკაფიოდ გავაკეთოდ აქცენტი სამ ძირითად პრინციპზე: პიროვნული თავისუფლება, სოციალური სამართლიანობა ეკონომიკური ქმედუნარიანობა. უნდა განვიხილოთ ბიზნესის სოციალიზაცია ერთ-ერთ უპირველეს სტრატეგიად.

დიაგრამა 6.

უთანასწორობის მაჩვენებელი (ჯინის ჯოეფიციენტი, 2010)



წყარო: მსოფლიო ბანკი

დასკვნა

წინა წლებში ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ინვესტიციები წარმოადგენდა, რომელთა დიდი ნაწილი მიმართული იყო ინფრასტრუქტურული პროექტებზე. თუმცა, ეს არ განხორციელდა იმ მასშტაბით, რომ ხელი შეეწყო გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისთვის. კერძოდ, ინვესტიციების დიდი ნაწილი მიმართული იყო კაპიტალტევად დარგებში, რომლებშიც მცირეა დასაქმების მოცულობა.

ანალოგიურად, განხორციელებულმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ, ვერ მოგვცა სასურველი შედეგი საექსპორტო კონკურენტუნარიანობის ზრდის თვალსაზრისით.

ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება საკმაოდ რთული პროცესია. მისი პირველი ნაბიჯი ეკონომიკური მიზნების ზუსტი განსაზღვრაა. შემდგომ საჭიროა განისაზღვროს მიზნების განხორციელების ალტერნატიული პროგრამები და მათი შესაძლო შედეგები, აგრეთვე წარსულში ანალოგიური პროგრამების განხორციელების ეფექტიანობა, როგორც ერთ რომელიმე ქვეყანაში, ასევე სხვა ქვეყნებში, მიზეზ-შედეგობრივი კავშირით.

გერმანელი მეცნიერები ვ. ოიკენი და ლ. ერჰარდი თვლიდნენ, რომ, ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი არის სოციალური კომპრომისი. ასეთი მიდგომიდან გამომდინარე მიზანშეწონილია მკაფიოდ გავაკეთოდ აქცენტი სამ ძირითად პრინციპზე: პიროვნული თავისუფლება, სოციალური სამართლიანობა და ეკონომიკური ქმედუნარიანობა. უნდა განვიხილოთ ბიზნესის სოციალიზაცია ერთ-ერთ უპირველეს სტრატეგიად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Людвиг Эрхард - благосостояние для всех
1. http://www.geostat.ge
2. http://www.mof.ge
3. http://civil.ge
4. http://www.worldbank.org/en/country/georgia

EFFECTIVE REGULATORY MECHANISMS FOR TRANSFORMATION OF SOCIO-ECONOMIC RELATIONS IN GEORGIA

TORNIKE GOGADZE
PhD student of GTU
E-mail: tornike.gogadze@yahoo.com

Summary

One of the main factors of economic growth in previous years was investments made by the state, most of which were focused on infrastructural projects. However, this was not done on the scale, to encourage long-term economic growth. In particular, the large part of the investment was directed to capital, in which the employment capacity was small.

Similarly, the economic policy that has been implemented has not given us the desired result in terms of growth of export competitiveness.

Developing economic policy is a difficult process. His first step is to determine the economic goals. Further, it is necessary to define alternate programs for achieving goals and their possible consequences, Also the effectiveness of implementing similar programs in the past, As in any one country, as well In other countries, with causal linking.

The German scientists V. Oaken and L. Erhard thought that one of the most important factors in economic policy is social compromise. Depending on such a situation, it is advisable to focus on three main principles: Personal freedom, social justice and economic capacity. We should consider business socialization as one of the foremost strategies.